GEORGIA'S INNOVATION & TECHNOLOGY AGENCY

ხელოვნური ინტელექტის კვირეულის განხორციელების კონკურსი

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინიციატივით, ცხადდება მეწარმე ქალებისა და 9-12 კლასის მოსწავლე გოგონებისათვის ხელოვნური ინეტელექტის კვირეულის განხორციელების კონკურსი, თბილისში. აღნიშნული პროექტი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით.

ხელოვნური ინტელექტის კვირეული ქალებისა და გოგონებისთვის გულისხმობს მეწარმე ქალებისა და სკოლის მოსწავლე გოგონებისთვის ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების გამოყენების ათვისებას, მათ დაინტერესებას ხელოვნური ინტელექტით და ყოველდღიურ საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების უფრო მეტად ინტეგრირებას. აღნიშნული მიმართულებით, 30 შერჩეულ მონაწილეს (15 მეწარმე ქალი, 15 მოსწავლე) ჩაუტარდება 5 დღიანი სამუშაო შეხვედრებისა და პრაქტიკული სესიების სერია, რაც ხელს შეუწყობს მონაწილეების ციფრულ ტრანსფორმაციას, მეწარმე ქალებს გაუმარტივებს სამეწარმეო საქმიანობის მართვას, ხოლო, მოსწავლე გოგონებს მისცემს შესაძლებლობას გაიგონ მეტი ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ და მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები ტექნოლოგიებში კარიერასთან დაკავშირებით.

შენიშვნა: პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს მხოლოდ პროგრამული ნაწილი, რაც გულისხმობს სატრენინგო პროცესების წარმართვას. კვებისა და სივრცის უზრუნველყოფა მოხდება შემსყიდველის მიერ.

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2024 წლის 16 სექტემბერი.

ხელოვნური ინტელექტის კვირეულის მთავარი მიზნებია:

- ახალგაზრდების ხელოვნურ ინტელექტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ;
- მეწარმე ქალების ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა ხელოვნური ინტელექტის დახმარებით;
- განსხვავებული გამოცდილებების თანაკვეთა და გაზიარება;
- ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მნიშვნელობის გაზრდა ახალგაზრდებისა და მეწარმე ქალების განვითარებისთვის;
- ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კულტურის განვითარება და პრობლემების კრეატიული გზით გადაჭრის ხელშეწყობა.
- ქალების ჩართულობის ზრდა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისა და განვითარების პროცესში.

შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI):

- **მონაწილეთა რაოდენობა:** მონაწილეთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს 30 ადამიანს, (15 მეწარმე ქალი და 15 9-12 კლასის მოსწავლე გოგონა);
- **მონაწილეთა დასწრება**: ტრენინგებზე მონაწილეთა დასწრების კოეფიციენტმა უნდა შეადგინოს არანაკლებ 70%. აღნიშნულ მაჩვენებელზე ნაკლები დასწრება არ უნდა იყოს გამოწვეული ტრენინგების ჩატარების ხარისხით უკმაყოფილებიდან გამომდინარე, რის დადასტურების წყაროდაც გამოყენებული იქნება მონაწილეების მიერ შევსებული უკუკავშირის ფორმები.
- **შემაჯამებელი ღონისძიება:** ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს, მონაწილეთა 70%-ის მიერ კვირეულის დასკვნით ღონისძიებაზე პროექტის საბოლოო პრეზენტაციის წარდგენა.
- **პროგრამის შემდგომი შეფასების ფორმა:** კვირეულის შეფასების ფორმებში, სადაც მონაწილეები შეაფასებენ კვირეულის მიმდინარეობას, საშუალო ქულა უნდა იყოს არანაკლებ 7 ქულა (მაქსიმალური 10 ქულიდან), როგორც ორგანიზატორი კომპანიის, ასევე, თითოეული მენტორის, სპიკერისა და აქტივობების მმართველის / პროექტის კოორდინატორის მიმართ.

მომსახურების მიმწოდებელი გამოვლინდება კონკურსის გზით, წინასწარ შერჩეული ჟიურის მიერ, რომელსაც დააკომპლექტებენ GITA-ს და UNDP-ის წარმომადგენლები. შერჩევის კრიტერიუმები:

კრიტერიუმი	**ქულა**
ორგანიზაციის გამოცდილება	15
გუნდი (რეზიუმეები)	25
თანხის და ბიუჯეტის დანიშნულება.	15
ძირითადი მახასიათებლები და სილაბუსი	30
აქტივობების გეგმა	15